1. **საკვლევი თემის (პროექტის) დასახელება***

სემანტიკური ფრეიმების ტრანსფორმაციის თავისებურებები ქართული ენის ცოდნის დონეების გრადაციის კონტექსტში.

2. **საკვლევი თემის (პროექტის) აქტუალობა და მისი პოზიციონირება განაცხადის შევსების დროისათვის შესაბამის დარგში***

მარვინ მინსკის ფრეიმების თეორია წარმოადგენს ადამიანის აზროვნების მოდელირების სფეროში ხანგრძლივი კვლევების შედეგს. თავის თეორიაში მ. მინსკი მიიჩნევს, რომ ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში შენახულ მატერიალიზებულ მონაცემთა მრავალრიცხოვანი სტურქტურა - ფრეიმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ხატს (ვიზუალური ხატის ფრეიმი), ესმის სიტყვა (სემანტიკური ფრეიმი), მსჯელობს, მოქმედებს (ფრეიმი-სცენარი), ახორციელებს ნარაციას და ა.შ. „გაგების პროცესს თან ახლავს მეხსიერებაში შესაბამისი ფრეიმის აქტივიზაცია და მისი ტერმინალების დაკავშირება მიმდინარე სიტუაციასთან“ (Minsky, Papert/მინსკი, პაპერტი, 1969).

ფრეიმი ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელია. იგი განიხილება სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის; ფრეიმის მოდელი უნივერსალურია (Croft & Cruse / კროფტი & კრუზი, 2004). იგი იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მთელი ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას.